პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 სექტემბერი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 216 (14516)

გუშინ დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლენინური დღეები მოსკოვში

რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი ძალა

PRAVDA

15 სექტემბრის მოწინავე

სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის ინტერესები, სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა, სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საარსებო ინტერესები მოითხოვენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემდგომ შემოქმედებითს განვითარებას.

აშუქებდა რა რევოლუციური პროცესის განვითარებაში თვორიის გადამწყვეტ როლს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „შეუძლებელია იყო იდეური ხელმძღვანელი და თეორიულ მუშაობას არ ეწეოდე. მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საჭიროა თეორიულად შეეფასოთ პრაქტიკულად წამოჭრილი ბრძოლის ახალი ფორმები, კომუნისტებს მოუწოდებდა, რომ თუ არ უნდათ ჩამორჩნენ ცხოვრებას, ყოველდღიურად უნდა განავითარონ რევოლუციური მეცნიერება. კომუნისტთა თეორიული მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობა თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე საგანგებოდ აღნიშნა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირმა.

ჩვენს პარტიას თეორიული საქმიანობას გაძლიერება კომუნისტთა მსოფლიო ფორუმის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლის ერთერთ ძირითად ძიმართულებად მიაჩნია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობის პრობლემების, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო კანონზომიერებებისა და თავისებურებების ღრმა თეორიული განზოგადებისათვის მეცნიერული მუშაობის ყოველმხრივ განვითარებას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი თეორიული პრობლემების დაძუშავებას.

თვით დოკუმენტები თათბირისა დიდი წვლილია რევოლუციური თეორიის საგანძურში. ისინი განაზოგადებენ კომუნისტური მოძრაობის ახალ გამოცდილებას, შეიცავენ საერთაშორისო ვითარებისა და იმ სოციალურ-პოლიტიკური ძერების ღრმა ანალიზს, რომლებიც განვლილი წლების მანძილზე მოხდა, ამ დოკუმენტებში, რომლებშიც შეხამებულია მარქსისტულ-ლენინური მეცნიერულობა და საბრძოლო აქტიურობა, ორგანულად შეერწყა თეორია და რევოლუციური პრაქტიკა, რომლებმაც გაამდიდრეს ერთმანეთი.

თათბირის მთავარი დასკვნებისა და დებულებების შემდგომი განვითარება კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთო ინტერნაციონალური ამოცანაა. მისი წარმატებით გადწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული მარქსისტულ-ლენინური თეორიული კადრების აქტივობაზე, მათს ერთობლივ მეცადინეობაზე, გამოცდილების, აზრების, მეცნიერული ინფორმაციის მუდმივ ურთიერთგაზიარებაზე. როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი უურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმას“ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, ჩვენ ბარს ვუყურთ მომმე პარტიების თეორიული მუშაობის რაც შეიძლება სრულ განზოგადებას. და აქ ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს თეორიული კონფერენციების, შემოქმედებითი დისკუსიების მნიშვნელობა, რომლებიც, თუ სწორად იქნა ორგანიზებული, უეჭველია, წინ წასწევენ მარქსისტულ თეორიულ აზრს.

ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გაიმართა ბევრი სამეცნიერო სესია, თეორიული კონფერენცია და სიმპოზიუმი საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრობლემებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ საზღვარგარეთელი მეცნიერები, კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი. იდეურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგალითად, სამეცნიერო სესიები, რომლებიც მიეძღვნა კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავსა და კომინტერნის 50 წლისთავს. მეცნიერთა ინტერნაციონალური შუხვედრები იმ თეორიული მუშაობის განზოგადებისა და კოორდინაციის ქმედითი ფორმაა, რომელსაც ეწევიან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემოქმედებითი გამდიდრებისათვის, პარტიული ამოცანების გადაწყვეტისას მისი სწორად გამოყენებისათვის.

საბჭოთა სამეცნიერო კადრებს დიდი როლი ეკუთვნით ახალი თეორიული პრობლემების დამუშავებაში. კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების გაფართოებასთან ერთად მათ შეუძლიათ აამაღლონ და კიდევაც უნდა აამაღლონ განუბრელად თავიანთი კვლევის დონე და ქმედითობა ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის დარგში. მათი მუშაობის პროგრამა მკაფიოდ და ზუსტად არის განსაზღვრული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორი წლის წინათ მიღებულ დადგენილებაში „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“. ჩვენმა მეცნიერმა-საზოგადოებათმცოდნეებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის თეორიული საკითხების გადაწყვეტაში, ნაყოფიერად დაეხმარონ პარტიასა და ხალხს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფაში, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში. უდიდეს ყურადღებას მოითხოვს პრობლემები, რომლებსაც აყენებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ეკონომიური რეფორმა, ახალი ხუთწლედის პერსპექტივები, ჩვენი საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე სიღრმისეული პროცესები. სამეცნიერო ინსტიტუტების პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ მეცნიერთა შრომის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლის პრაქტიკასთან მათი კვლევის კავშირის განმტკიცებისათვის.

საზოგადოებათმცოდნეთა ყველა მეცნიერულ ნაშრომში მთავარი ყურადღება უნდა ეთმობოდეს რევოლუციური თეორიის ცოცხალი შემოქმედებითი ძალის გაშუქებას. როგორც ლენინმა თქვა, თეორია უნდა ემსახურებოდეს მოქმედების დასაბუთებას. თეორიულ მუშაობას მხოლოდ მაშინ ექნება წარმატება, თუ იგი შეესაბამება საზოგადოებრივი განვითარების მომწიფებულ მოთხოვნილებებს, ღრმად გაიაზრებს კომუნისტური მშენებლობის გამოცდილებას და კვალავ წინსვლის გზას.

ჩვენს პარტიას მაღლა უჭირავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ჩირაღდანი და ყოველ ღონეს ხმარობს მისი განუხრელი განვითარებისათვის იგი თეორიულ კადრებს უნერგავს სათუთად და შემოქმედებითად მოეკიდონ მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, პრინციპულად და შეურიგებლად დაუპირისპირდნენ თეორიის მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნისტულ დამახინჯებებს, დოგმატიზმისა და რევიზიონიზმის ყოველგვარ გამოვლინებებს. მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის ბრძოლა, მისი ძალის, მასებზე მაორგანიზებელი და დამრაზმველი გავლენის შემდგომი ზრდის აუცილებელი პირობაა.

ეგებება რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, საბჭოთა ხალხი სულ უფრო სრულად გრძნობს რევოლუციური იდეების ამ მძლავრ გავლენას მთელ ჩვენს ცხოვრებაზე, შრომასა და ბრძოლაზე. ლენინის იუბილეს წინ იზრდება ჩვენი თეორიული კადრების პასუხისმგებლობაც, მათი ამოცანები საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი ყოველმხრივი პროგრესის დარგში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებებსა და რევოლუციურ მოძრაობას მთელ მსოფლიოში.

გულითადი შეხვედრა მოსკოვში

მოსკოვი, 16 სექტემბერი. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტები მ. ტრასკუნოვი, ი. გოლუბანი). მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც 15 სექტემბერს ჩამოვიდნენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, რათა მოუთხრონ მოსკოველებს, თუ რა დიდი და სახელოვანი გზა განვლო ქართულმა მეცნიერებამ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. მისი მიღწევები განუყოფელად დაკავშირებულია იმ უდიდეს სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებთან, კულტურის სწრაფ ზრდასთან, რაც კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი იყო.

საქართველოს სსრ დელეგაციას მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ბ. მიქელაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე, პროფესორი ი. ციციშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ე. ანდრონიკაშვილი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი შ. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ჯიბლაძე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი ე. ხარაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგე ა. ჩიქობავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ვ. კუპრაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ბ. ციციშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ. მერკვილაძე, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ხმარინაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ჭავჭანიძე და სხვები.

...ვნუკოვოს აეროპორტი მორთულია ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილია გულითადი მისალმებანი მოსკოვში საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეების მონაწილეებისადმი. საქართველოს დელეგაციის შესახვედრად აქ შეიკრიბნენ მოსკოვის, დედაქალაქის ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიონების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ამ რაიონების ძმრომელები — ქართველ მეცნიერთა მასპინძლები.

შემხვედრთა შორის არიან სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. შაპოშნიკოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. კოლოვინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა. რუმიანცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ბ. პეტროვი, აკადემიკოსი მ. დუბინინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. პოსპელოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ნ. სიჩოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეცნიერების განყოფილების ამგზავრ მოადგილე მ. ნიკონოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე რ. პასიჩნიკოვი, სკკპ მოსკოვის ძერჟინსკის რაიკომის პირველი მდივანი ა. შატოვი, სკკპ მოსკოვის ბაბუშკინის რაიკომის მეორე მდივანი ი. შიშოვი, ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. მგოროვი, ქალაქ მოსკოვის ბაბუშკინის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბაზაკლაძე, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მასლენი, დედაქალაქის ჭარხნების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ი. არმაშელაძე.

...13 საათი და 55 წუთია. თვითმფრინავი, რომელშიც არიან საქართველოს დელეგაციის წევრები, აეროპორტის შენობასთან მიდის. სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ, მიართვეს თაიგულები. მანქანების კორტეჟი ქალაქისაკენ გაეშართა.

• • •

იმავე დღეს ქართველ მეცნიერთა დელეგაცია მიიღო სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. პავლოვმა. მან სტუმრებს გააცნო დედაქალაქის მრავალდარგოვანი საქალაქო მეურნეობა, მოსკოვის მრეწველობის მუშაობა, კულტურული ცხოვრება, აქტუალური საკითხები, რომლებიც ისაუბა მოსკოვის თითქმის შვიდმილიონიანი მოსახლეობის წინაშე.

ამხ. ვ. პავლოვმა დელეგაციის წევრებს უსურვა წარმატებითი შეხვედრები და ნაყოფიერი საუბრები თავიანთ კოლეგებთან, დედაქალაქის მშრომელებთან.

დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისა და კეთილი სურვილებისათვის.

საღამოს მოსკოვის კინოთეატრებში „თბილისში“, „ურანსა“ და „ვოსხოდში“, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დაიწყო ქართული ფილმების ჩვენების კვირეული. ქართული კინოხელოვნების ოსტატებმა დედაქალაქში ჩამოიტანეს საუკეთესო ნაწარმოებები „ღიმილის ბიჭები“, „მალე გაზაფხული მოვა“, „ქორწილი“, „ქოლგა“ და სხვ.

გულთბილი და გულითადი შეხვედრა მოსკოვში მკაფიოდ დაწმობს ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მჭიდრო კულტურულ და მეცნიერულ ურთიერთობას.

შეხვედრა გადაიქცა ხალხების დღესასწაულად, ჩვენს ქვეყანაში პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო გამოვლინებად.

ᲓᲐᲔ ᲒᲐᲜᲛᲔᲢᲙᲘᲪᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲛᲝᲒᲐ!

მოსკოვი, 16 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორესპონდენტები მ. ტრასკუნოვი, ი. გოლუბანი). მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც 15 სექტემბერს ჩამოვიდნენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, რათა მოუთხრონ მოსკოველებს, თუ რა დიდი და სახელოვანი გზა განვლო ქართულმა მეცნიერებამ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. მისი მიღწევები განუყოფელად დაკავშირებულია იმ უდიდეს სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებთან, კულტურის სწრაფ ზრდასთან, რაც კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი იყო.

საქართველოს სსრ დელეგაციას მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ბ. მიქელაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე, პროფესორი ი. ციციშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ე. ანდრონიკაშვილი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი შ. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ჯიბლაძე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი ე. ხარაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგე ა. ჩიქობავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ვ. კუპრაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ბ. ციციშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ. მერკვილაძე, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ხმარინაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ჭავჭანიძე და სხვები.

...ვნუკოვოს აეროპორტი მორთულია ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილია გულითადი მისალმებანი მოსკოვში საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეების მონაწილეებისადმი. საქართველოს დელეგაციის შესახვედრად აქ შეიკრიბნენ მოსკოვის, დედაქალაქის ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიონების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ამ რაიონების ძმრომელები — ქართველ მეცნიერთა მასპინძლები.

შემხვედრთა შორის არიან სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. შაპოშნიკოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. კოლოვინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა. რუმიანცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ბ. პეტროვი, აკადემიკოსი მ. დუბინინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. პოსპელოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ნ. სიჩოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეცნიერების განყოფილების ამგზავრ მოადგილე მ. ნიკონოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე რ. პასიჩნიკოვი, სკკპ მოსკოვის ძერჟინსკის რაიკომის პირველი მდივანი ა. შატოვი, სკკპ მოსკოვის ბაბუშკინის რაიკომის მეორე მდივანი ი. შიშოვი, ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. მგოროვი, ქალაქ მოსკოვის ბაბუშკინის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბაზაკლაძე, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მასლენი, დედაქალაქის ჭარხნების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ი. არმაშელაძე.

...13 საათი და 55 წუთია. თვითმფრინავი, რომელშიც არიან საქართველოს დელეგაციის წევრები, აეროპორტის შენობასთან მიდის. სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ, მიართვეს თაიგულები. მანქანების კორტეჟი ქალაქისაკენ გაეშართა.

• • •

იმავე დღეს ქართველ მეცნიერთა დელეგაცია მიიღო სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. პავლოვმა. მან სტუმრებს გააცნო დედაქალაქის მრავალდარგოვანი საქალაქო მეურნეობა, მოსკოვის მრეწველობის მუშაობა, კულტურული ცხოვრება, აქტუალური საკითხები, რომლებიც ისაუბა მოსკოვის თითქმის შვიდმილიონიანი მოსახლეობის წინაშე.

ამხ. ვ. პავლოვმა დელეგაციის წევრებს უსურვა წარმატებითი შეხვედრები და ნაყოფიერი საუბრები თავიანთ კოლეგებთან, დედაქალაქის მშრომელებთან.

დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისა და კეთილი სურვილებისათვის.

საღამოს მოსკოვის კინოთეატრებში „თბილისში“, „ურანსა“ და „ვოსხოდში“, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დაიწყო ქართული ფილმების ჩვენების კვირეული. ქართული კინოხელოვნების ოსტატებმა დედაქალაქში ჩამოიტანეს საუკეთესო ნაწარმოებები „ღიმილის ბიჭები“, „მალე გაზაფხული მოვა“, „ქორწილი“, „ქოლგა“ და სხვ.

გულთბილი და გულითადი შეხვედრა მოსკოვში მკაფიოდ დაწმობს ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მჭიდრო კულტურულ და მეცნიერულ ურთიერთობას.

შეხვედრა გადაიქცა ხალხების დღესასწაულად, ჩვენს ქვეყანაში პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო გამოვლინებად.

100

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲚᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ „Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“ წაიკითხავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ს. ძოწენიძე.

ლექცია შედგება 1969 წლის 18 სექტემბერს, დღის 4 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲪᲝᲓᲜᲘᲡ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

ᲖᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ, ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲠᲔᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲝᲔᲑᲗᲐ ᲙᲘᲠᲝᲒᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲓᲔᲡ

● **ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡᲚᲔᲑᲘ** მეჩაიეებმა, რომლებიც ბეჯითად შრომობენ **ვ. ი. ლენინის** დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის, ჯერ კიდევ აგვისტოში აიღეს პირველი ზღუდე, ჩაის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მაშინ რაიონის მეჩაიეებმა გადახადეს თავიანთ შესაძლებლობებს და პირობა დადეს კიდევ მოეკრიფათ 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ამ ვალდებულების განაღდებისათვის დაარაზმნენ მეჩაიეები, ვეტერანი მკრეფველები, ნოვატორები და კომუნისტები მამაცური შრომის ძაღლთოვის გვიჩვენებენ. პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ახორციელებდნენ ქმედითს ღონისძიებებს, პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად და გამარჯვებასაც მიაღწიეს.

რაიონის მეჩაიეებმა **13 სექტემბრისათვის გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულება. სამშობლოს მისცეს 1.050 ტონაზე მეტი „მწვანე ოქროო“**, სულ კი მოკრიფეს 9.800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 8.750 ტონისა. ჩაის ფაბრიკებმა დროულად გადამუშავეს მიღებული ნედლეული. ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲚᲗᲐ ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲨᲘ დიდი წვლილი შეიტანეს ხაბუმის, ნაფინნოვოს, ჩხოროწყუს, მუხურის, ჭოლის და სხვა კოლმეურნეობებმა. **მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა ვალდებულების გადამეტებით მოკრიფონ 300 ტონა ჩაის ფოთოლი.**

● **ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ** მეჩაიეებმა ვადაზე ადრე, 16 სექტემბრისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.705 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.700 ტონისა. ვ. ი. ლენინის საიუბილეო შეჯიბრებაში გასხაკუთრებით დაწინაურდა ივანდიდის კოლმეურნეობა, რომელმაც მოკრიფა 325 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 265 ტონისა.

გოჩაჯიანიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა წლიური გეგმა 113,4 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადამეტებით უკვე მოკრიფეს 41 ტონა ჩაის ნედლეული. დიდ წარმატებას მიაღწია სოციალისტური შრომის გმირმა დალი წიფენიძემ. მან მოკრიფა 6 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, ხოლო მისმა რჩოლმა — 46 ტონა ნაცვლად 21 ტონისა. წულუკიძელმა მეჩაიეებმა გადაწყვეტეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ტონა ჩაის ფოთოლი.

Გ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ კორ.

● **ᲡᲐᲛᲔᲠᲔᲓᲘᲐ.** („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეჩაიეებმა ვადამდე შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 1.318 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.317 ტონისა.

რაიონის მეჩაიეები ჩაის კრეფას განაგრძობენ და გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ჩაის ფოთოლს გვაბირდებიან.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-298“

1969 წლის 15 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-298“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

16 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ თბილისში დაიწყო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთთვიან მეცადინეობას შეუდგნენ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეები.

კურსები გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. ლელაშვილმა.**

მეცადინეობის პერიოდში კურსების მსმენელებს წაუკითხავენ ლექციებს სკკპ ისტორიისა და

დაე განმაჯიცდეს ჩვენი ძმობა!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მოსკოველი მეცნიერების, ინტელიგენციისა და მშრომელების სახელით ბამბავდა სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი **ბ. პეტროვი.**

— ჩვენი დიდაქალაქის მეცნიერების, ინტელიგენციისა და მშრომელების სახელით, — ამბობს ბ. პეტროვი, — სიამოვნებით მივიალმები საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინურ დღეებზი მოსკოვში ჩამოსულ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

მოსკოვის მშრომელები და მეცნიერული საზოგადოებრიობა ამაყოფენებით ადევნო მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერულ მიღწევებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერების დღეებს ჩვენ ვთართავთ კომუნისტური პარტიის გენიალური დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსშესანიშნავი იუბილესთვის მზადების პერიოდში. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდ, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებას. მან შეიმუშავა მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოთა პირველი პერსპექტიული გეგმა, მისი პირადი მითითებით შეიქმნა მთელი რიგი უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, რომლებმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიიღო ნამდვილი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და უსაზღვრო შესაძლებლობა ხალხის ნიჭის აყვავებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ დიდი საბჭოთა მეცნიერების მიღწევებსა და წარმატებებში მცირე ღვაწლი როლი მიუძღვით ქართველ მეცნიერებსაც, რომლებსაც თავისი ღირსეული წვლილი შეაქვთ კაცობრიობის ცოდნის საგანძურში. რესპუბლიკის მეცნიერები ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მეცნიერები ყოველთვის ფეხდაფეხ მისდევენ საუკუნეს. ეძებენ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის ახალ გზებს, ქმნიან ახალ მიმართულებებს მეცნიერებაში. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკიკავკასიის რესპუბლიკებს შორის საქართველო წამყვანია ისეთ თანამედროვე მეცნიერებებში, როგორიცაა კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა და ტელემექანიკა.

საქართველოს მეცნიერებს, ხალხ გაუსვა ორატორმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებთან ჭიდრო თანამეგობრობით ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

მთელ მსოფლიოში მოიხეჭეს სახელი ნ. ი. მუსხელიშვილის მიერ შექმნილმა ქართველ მათემატიკოსთა სკოლამ. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცნობილია ფიზიკოსთა, გეოლოგთა, კიბერნეტიკოსთა, მექანიკოსთა, ქიმიკოსთა, ბიოლოგთა, აგრეთვე საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელთა ნაშრომები.

ნება მიბოძეთ, ამბობს დასასრულ აკადემიკოსი ბ. პეტროვი, კიდევ ერთხელ მხურვალედ და გულითადად მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს — აკადემიკოს, საქართველოს დელეგაციას.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.** მან თქვა:

ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო!

ნება მიბოძეთ ქართველ მეცნიერთა დელეგაციის სახელით მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით ჩვენი სახელოვანი დიდაქალაქის ყველა მშრომელს, და მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი, ძმური მასპინძლობისათვის.

შეხვედრები მოსკოველებთან აქ და ჩვენში, საქართველოში, რაც კარგ ტრადიციად იქცა, ულიდეს სიხარულს გვანიჭებს. ტაჯილად როდი ამბობენ, მეგობრები ჭირს გვინახავენ, ლხინს კი გვიორაკეცებენო. ჩვენ შეეკრიბეთ აქ ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის წინ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ნათელი იუბილეს ზღურბლზე. ლენინს სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა მეცნიერების მთელი ისტორია, ყველა მისი ეროვნული რაზმის სახელოვანი ისტორია.

ამხ. სტურუამ ილაპარაკა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფ განვითარებაზე და ამ უდიდეს წვლილზე, რომელიც საბჭოთა მეცნიერებს შეაქვთ ამ განვითარებაში.

— მეცნიერება დღეს გადაიქცა აქტიურ საწარმოო ძალად. საბჭოთა მეცნიერები თავდადებული ბრძოლით ქმნიან ბეორე ბუნებას, ყველაზე მიწიერი გახდნენ ის მეცნიერებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მხოლოდ თეორიულ და განყენებულ მეცნიერებებად ითვლებოდნენ, ამ გრანდიოზულ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს მეცნიერებსაც.

შემდეგ ამხ. სტურუა შეეხო ქართული მეცნიერების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ საქართველოში, განაგრძო მან, ფართო გასაქანი მისცა მეცნიერების ყველა დარგის სწრაფ განვითარებას.

ქართულ სკოლებს — მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, გეოლოგიის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიისა და სხვა სკოლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებაში და წინ სწევენ მას.

საბჭოთა საქართველოში ორასამდე სამეცნიერო დაწესებულება და თვრამეტი უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც მუშაობს 16.300 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 800-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და 5 ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი.

რესპუბლიკაში მეცნიერული აზრის ცენტრია 1941 წლის თებერვალში დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის უცვლელი პრეზიდენტია ჩვენი დელეგაციის წევრი — აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მათემატიკოსი ნიკო მუსხელიშვილი.

ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, მეცნიერთა კადრების მომზადებაში დიდ დახმარებას გვიწევენ და გვიწევენ მოსკოვი, ლენინგრადი და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრები. ჩვენი დელეგაციის ბევრმა წევრმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლები მოსკოვში, რომელიც მათთვის მეორე სამშობლო გახდა.

ყოველი საქმის, კერძოდ მეცნიერების წარმატება დამოკიდებულია ცვლის, ახალგაზრდა კადრების მომზადებაზე, რომლებმაც არა მარტო უნდა ჩიბარონ უფროს თაობათა ესტაფეტა, არამედ წინ წაიღონ კიდევაც, დაძლიოს ყველა დაბრკოლება მიზნის გზაზე. საქართველოს მეცნიერ ახალგაზრდობას, რომელიც მშრომელი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია და აღზრდილია ლენინურ ტრადიციებზე, უნარი შესწევს თავის მასწავლებლებზე მეტი დიდება მოიხვეჭოს, „იგი ახლაც წარმატებით უწევს მეტოქეობას მათ.

საბჭოთა მეცნიერები მთელ თავიანთ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ ლენინური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს. სწორედ ამიტომ საბჭოთა მეცნიერებამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია ბურჟუაზიულ მეცნიერებასთან სოციალურ ორთაბრძოლაში, და ამ ისტორიულ ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერებმაც.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! — თქვა დასასრულ ამხ. სტურუამ. — ერთხელ კიდევ გმადლობთ ძმური მასპინძლობისათვის, შორეულ წარსულში აქეს ფესვები გადგმული. იგი ყოველთვის იყო ხალხის თვითმყოფადი კულტურის განუყოფელი ნაწილი. ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა და ჩვენს საბჭოთა ეპოქამდე მოიტანა თავისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, მიუხედავად მძიმე განსაცდელისა, რაც თან ხდებოდა მის ისტორიულ ბედს.

ამხ. მუსხელიშვილი ახასიათებს ქართული ლიტერატურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერული მოღვაწეობის კერებს, რომლებიც წარმოიშვა და აყვავდა სხვადასხვა დროს, როგორც თვით საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი ლაპარაკობს, თუ რა ფართოდ იყო განვითარებული გამოყენებითი მეცნიერებანი ძველ საქართველოში, წარსულის მატერიალური კულტურის შესანიშნავ ძეგლებზე, შუა საუკუნეებს საქართველოს საზოგადოებრივი აზრის უმაღლეს გამოხატულებაზე — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ — პოემაზე, რომელშიც შერწყმულია ღრმა იდეური შინაარსი და სრულყოფილი მხატვრული ფორმა.

მოგვიანებით,—ამბობს მომხსენებელი, აღმოსავლეთის აგრესიულ სახელმწიფოთა გარემოცვაში მოქცეული საქართველო მოწყდა კულტურულ სამყაროს. დამპყრობთა მრავალსაუკუნოვან ძალმომრეობა და სისხლისმღვრელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, რომელიც ფიტავდა ხალხის ძალებს, აფერხებდა მეცნიერების განვითარებას, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მისი სავსებით შეჩერება.

1801 წელს რუსეთთან საქართველოს შერთვის შემდეგ მოწინავე რუსული საზოგადოებრივი აზრი პროგრესულ გავლენას ახდენს ქართველი ერის კულტურულ ცხოვრებაზე, ქართული მეცნიერება მდიდრდება რუსულ მეცნიერებასთან და მისი საშუალებით ავრეთვე დასავლეთ ევროპის მეცნიერებასთან ურთიერთობით. XIX საუკუნეში თბილისში შეიქმნა კავკასიის სამეცნიერო ცენტრები (კავკასიის მუზეუმი, თბილისის მაგნეტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია, ბოტანიკური ბაღები და სხვ.).

მიუხედავად ამისა რუსეთის ცარიზმის პოლიტიკა ძლიერ ზღუდავდა ქართული მეცნიერების განვითარებას. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ქართველ ხალხს ცოდნისა და შემოქმედების ფართო გზა გაუხსნა. ეროვნული სამეცნიერო კადრების ლზრდის პირველი ბანაკი ერა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის დაარსება შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. უნივერსიტეტი შექმნეს რევოლუციის შემწევარ-კორესპონდენტი, აღრეთვე საბჭოთა ინტელიგენციისა და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი.

საქართველოში თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებით მიმდინარეობს კვლევა. ეგი ვითარდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესაბამისად, აგრეთვე გარკვეული თვალსაზრისით დამკვიდრებული ტრადიციისამებრ. ქართველ მეცნიერთა მთელ რიგ გამოკვლევებს ლენინური და სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ.

საქართველოში შეიქმნა და განვითარდა ქართული მათემატიკური სკოლა, რომელიც მათემატიკის ზოგიერთ ბევრ დარგში ერთ-ერთი წამყვანია საბჭოთა კავშირში. უაღრესად ფართო აღიარება პოვეს ამ სკოლის წარმომადგენელთა გამოკვლევებმა მათემატიკური დრეკადობის თეორიაში, ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, ანალიზური ფუნქციის თეორიის გამოყენებაში, ანალიზის მეთოდების, მექანიკის პრობლემების გამოყენებაში.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს გამოთვლითი მათემატიკის ახალი მეთოდების, ახალი გამოსათვლელი მანქანების თეორიული საფუძვლების, ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების გამოყენებით სახალხო მეურნეობის ოპერაციული დაგეგმვისა და მართვის მეცნიერული საფუძვლებისა და მათემ-ტიკური მეთოდების შესამუშავებლად.

რესპუბლიკის მეცნიერებმა მიიღეს დიდმნიშვნელოვანი შედეგები თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა ელექტრონული ხსნარების ფიზიკა, დაბალ ტემპერატურათა ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, ბირთვული ფიზიკა, ბიოლოგიური ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა და სხვ.

30-იან წლებში აბასთუმანში ყანობილის მთაზე სსრ კავშირის პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიის შექმნამ დასაბამი მისცა კვლევის ფართოდ განვითარებას ასტროფიზიკის მეცნიერების ძირითადი მიმართულებებით.

გეოლოგიური კვლევის ფართო ფრონტი მოიცავს პალეონტოლოგიას, სტრატიგრაფიას, რეგიონალური გეოლოგიის, ტექტონიკის, პეტროლოგიის, მინერალოგიის, გეოქიმიისა და სხვა საკითხებს.

ქართველი გეოფიზიკოსები სწავლობენ დედამიწის წიაღში, მის ქერქსა და გარეშო სივრცეში მიმდინარე გეოფიზიკურ მოვლენათა ბუნებას, ამუშავებენ ზოგიერთი ბუნებრივი პროცესის მიმდინარეობაზე აქტიური ზემოქმედების მეთოდებს და სხვ. ფართოდ გითქვეს სახელი ნაშრომებმა მძლავრი ავტომატიკა და ტელემექანიკა. ქართველ მეცნიერთა ინტენსიური მუშაობა მიზნად ისახავს კიბერნეტიკულ და ბიონიკურ სისტემათა შექმნას ფიზიკური, ბიოლოგიური და ფუნქციურ-ლოგიკური სათვლელების ექსპერიმენტულ და თეორიულ კვლევას, თეორიულ საფუძველთა შემუშავებასა და თანამედროვე ელექტრონული ტექნიკის ბაზაზე სხვადასხვა პროცესების ოპტიმალური ავტომატური მართვის სისტემების შექმნას, და სხვ.

ქართული მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ ქიმიკოსებს. აქტუალური მნიშვნელობა აქვს მათ ნაშრომებს ნივთიერების აგებულების შესწავლის, მყარ სხეულთა ასორბციისა, კატალიზური და კალიოლური თვისებების კვლევის, მაღალმოლეკულურ ნივთიერებათა და ბიოლოგიურად აქტიურ შენაერთთა სინთეზისა და შესწავლის დარგში.

ალაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის დარგში კვლევა მიმდინარეობს მანგანუმისა და მისი შენაერთების ქიმიისა და ელექტროქიმიის, ქიმიური პროცესებზე გამოსხივების გავლენის შესწავლის, ალაორგანულ შენაერთთა თერმოდინამიკურ თვისებათა შეწავლისა და საქართველოს მინერალური ნედლეულის ფიზიკურ-ქიმიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური კვლევის მიმართულებით.

ფარმაკოქიმიის დარგში ვსწავლობთ იმ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიას, რომლებსაც ... საქართველოს ფლორა შეიცავს. მიმდინარეობს სამუშაოები ამ საფუძველზე ისეთი ახალი საშუალებების შესაქმნელად, რომლებსაც ვიყენებენ, როგორც მედიცინაში, ისე სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში.

მთელი რიგი კვლევები მიზნად ისახავენ გამოვიკვლიოთ მეტალურგიაში ახალ სახეობათა ნედლეული, შეექმნათ ახალი ეკონომიურ-ლეგირებული შენადნობები ქიმიური, კვების, ფეთსაშენებელი, მაქანა სამენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის, შეიმუშაოთ ლითონების წარმოების ახალი და სრულყოფილ არსებული ტექნოლოგიური პროცესები.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მეცნიერებმა, თქვა ნ. მუსხელიშვილმა, ფიზიოლოგიის, ბოტანიკის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, გენეტიკის, პალეობიოლოგიის, ზოოლოგიისა და ექსპერიმენტული მორფოლოგიის დარგში.

ფიზიოლოგთა ქართული სკოლის გამოკვლევები, რომლებმაც ფართო აღიარება პოვეს აღა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ შორს, მის ფარგლებს გარეთაც, ეითარდება ადამინისა და ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ნეიროფიზიოლოგიის ძირითად კანონზომიერებათა, ნერვული სისტემის ფუნქციური ბიოქიმიის, ცხოველთა ორგანიზმზე რადიაციის გავლენისა და მოლეკულური ბიოლოგიის შესწავლის მიმართულებით. ამჟამად განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა მეზსიერების ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ საფუძვლთა შესწავლას.

საქართველოში, აღნიშნა მომხსენებელმა, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დაწესებულებათა ფართო ქსელია, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ სოფლის მეურნეობის მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი მუშაობენ მედიცინის მეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე.

შემდეგ ნ. მუსხელიშვილმა დაახასიათა საქართველოში ჰუმანიტარულ და განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა მდგომარეობა და განვითარება.

საქართველოს მდიდარმა, მრავალსაუკუნოვანმა სულიერმა და მატერიალურმა კულტურამ შექმნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბევრი დარგის განვითარების წანამძღვრები. ამჟამად რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა თითქმის ყველა ძირითადი მიმართულება. შექმნილია მეცნიერების ამ დარგში კვლევის უახლეს მიმართულებათა შემდგომი განვითარების ხელსაყრელი პირობები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულეს ქართველმა მეცნიერებმა ისტორიაში, არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ენათმეცნიერებაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში, არქეოგრაფიაში, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, სამართალსა და ეკონომიკაში.

ქართული მეცნიერება, ისე როგორც მთელი საბჭოთა მეცნიერება, ამბობს დასასრულ მომხსენებელი, სულ უფრო ხდება საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალა. მეცნიერების მიღწევების ფართო გამოყენება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომ დაჩქარებას. უკანასკნელ წლებში საქართველოში ფართოდ განვითარდა საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა ძირითადი ფორმა.

მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე საბჭოთა საქართველოს მეცნიერებს განუხრელად და აქტიურად ეხმარებოდნენ საბჭოთა რუსეთის მეცნიერები და ვსარგებლობ რა შემთხვევით მსურს დიდი მადლობა გადავუხადო მათ, ისევე როგორც ჩვენი დიდი კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებს, რომლებიც ჩვენთან ჭიდრო კონტაქტით მუშაობენ.

სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული საბჭოთა მეცნიერების განვითარების ამოცანები და პერსპექტივები ქართული მეცნიერებათა ქიმიას, რომლებსაც ... — მეცნიერული ... ფაქტორთა შესაძლებლობებს ქმნიან.

უახლოეს პერსპექტივაში გათვალისწინებული გვაქვს განვაგრძოთ და ყოველმხრივ გავაფართოოთ კვლევა თანამედროვე მეცნიერების ძირითადი მიმართულებებით. საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის დიდ თეორიულ პრობლემებთან ერთად დასახულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა.

ქართველი მეცნიერები კვლავაც შეიტანენ თავის წვლილს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში და ახალი წარმატებებით შეხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავს.

• • •

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და მათემატიკის განყოფილების თავმჯდომარე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ვ. კუპრაძე.**

დღეს, თქვა ვ. კუპრაძემ, დაიწყო მეცნიერების ლენინური დღეები. წინა დღეებსა და თვეებში გაიმართა საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სხვა რესპუბლიკების ასეთივე დღეები. ჩვენის აზრით, „დღეების“ ორგანიზატორები სწორად მოიქცნენ, როცა მრაწყვეს მეცნიერების დარგში რესპუბლიკის მიღწევათა საჯარო დათვალიერება. რადგან ის, რაც ამ წლებში მოხდა ეროვნული რაიონების მეცნიერებაში, უდავოდ, კიდევ ერთხელ მეკერმიტყველურად მოწმობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გრანდიოზულ, გარდამქმნელ და კონსტრუქციულ ძალას.

შემდეგ ამხ. კუპრაძემ თქვა, რომ საქართველო, ისე როგორც ჩვენნი ქვეყნის სხვა რესპუბლიკები, რომლებიც ოდესღაც თავისი დროისათვის მაღალი კულტურის მატარებლები იყვნენ, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ წარმოადგენდნენ ქვეფის იმპერიის ლატაკური ეკონომიკის ბქონე უბადრუკ პროვინციებს, სადაც თითქმის არავინ არ იცოდა წერა-კითხვა. ფეოდალიზმით აღდგა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში ეროვნული ინტელიგენციის არმია, რომელსაც სული შთაბერა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ. ამ პოლიტიკამ, ერთი მხრივ, მოამზადა ეროვნული სამეცნიერო კადრები და მიზნად დაუსახა ყოველმხრივ შეესწავლათ თავისი მხარის ეროვნული სიმდიდრე, მისი მიწისზედა და მიწისქვეშა რესურსები — ფლორა, ფაუნა, წიაღისეული, მისი სულიერი ღირებულებანი — ენა, ფოლკლორი, ლიტერატურა და ხელოვნება. ხოლო, მეორე მხრივ, იმთავითვე შექმნა პირობები, რომ ეროვნულ ტალანტებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ დიდი მეცნიერების შემოქმედებით პროცესში ზოგადაცობრიული ცოდნის მრავალი სამეცნიერო პრობლემის დამუშავებაში. ეს თვისებები მუდამ ახასიათებდა საბჭოთა საქართველოში მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

გულახდილად ვიტყვით, ამბობს დასასრულ ვ. კუპრაძე, მოელვარებით ველით მოსკოველებთან შეხვედრას. მოსკოვი არის ჩვენი საამბობლოს წმიდა ადგილი. ჩვენი „ოდენ“ ორგანიზატორები სწორად მოიქცნენ, როცა ჩვენი ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

გმოობენ ისრაელთა დანაშაულებრივ აქციებს

● იორდანიის სამხედრო წარმომადგენლის ცნობა ● პარტიზანთა საბრძოლო მოქმედება ● უშიშროების საბჭოში.

ამანი, 15 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იორდანიის სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, დღეს იორდანიისა და ისრაელის ჯარები 15 წუთს უშენდნენ ერთმანეთს ტყვიამფრქვევების ცეცხლს ელ-მუნდახის რაიონში 14 კილომეტრზე მკვდარი ზღვის ჩრდილოეთით.

წარმომადგენელმა თქვა, რომ იორდანიელებს არ მოსვლიათ ზარალი. იორდანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელის მხარემ პირველმა დაუშინა ცეცხლი იორდანიის არმიის პოზიციებს.

დამასკო, 15 სექტემბერი. (საკდესი). პალესტინის გაერთიანებულმა სარდლობამ გამოაქვეყნა კომუნიკე ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე პარტიზანთა მოქმედების შესახებ.

14 სექტემბერს დილით, ნათქვამია კომუნიკეში, „ას-საიკის“ ორგანიზაციის პარტიზანული რაზმი გოლანის სიმაღლეებზე ჩაუსაფრდა მტერს. ამ ოპერაციის დროს პარტიზანებმა სხვადასხვა სახის იარაღით სროლა აუტეხეს ისრაელთა პატრულს, რომელიც ავტომანქანებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით მიდიოდა. როცა პატრულს მიეშველა ისრაელთა ტანკების რეზერვი, პარტიზანებმა გზა გადაუღობეს და ბრძოლა გაუმართეს მას. პარტიზანებმა მტერს დაუხოცეს 10 და დაუჭრეს 8 კაცი, მოსპეს ერთი ჯავშნიანი მანქანა და ერთი ავტომანქანა.

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო განაგრძობდა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განხილვას ომასთან დაკავშირებით, რომ არაბული და აზიის ქვეყნების ჯგუფმა მოითხოვა განხილულ საკითხი იერუსალიმის ალ-აქსის მეჩეთისათვის ცეცხლის წაკიდების შესახებ.** ორატორთა უმრავლესობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დანაშაულებრივი აქტი შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ იერუსალიმი იმყოფება ისრაელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მათ მოითხოვეს ისრაელის ჯარების გაყვანა ამ ქალაქიდან და სხვა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, იერუსალიმის სტატუსის დაცვა. ორატორებმა დაგმეს ტელ-ავივის ხელისუფალნი ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავებისათვის და მოუწოდეს უშიშროების საბჭოს იბრძოლოს ამ რაიონში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ბერარმა განაცხადა, საჭიროა თავიდან ავიცილოთ ასეთი ამბები, რომელთა შედეგად უარესდება მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში და მთელ მსოფლიოში, და უნდა ვესწრაფოდეთ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამართლიან გადაწყვეტას უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე.

ლიბანის დელეგატმა გორამ მთელი პასუხისმგებლობა მეჩეთისათვის ცეცხლის წაკიდების გამო დააკისრა ისრაელს. ეს ინციდენტი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, თქვა მან. უშიშროების საბჭომ უნდა განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი ასეთი მოქმედების თავიდან ასაცილებლად.

თავიანთი ხალხების შეშფოთება და გულისწყრომა მეჩეთისათვის ცეცხლის წაკიდებისა და ისრაელ ხელისუფალთა სხვა დანაშაულებრივი მოქმედების გამო გამოთქვეს ავღანეთი ტუნისის, სენეგალის, ზამბიის, ფინეთის, ნეპალისა და კოლუმბიის წარმომადგენლებმა. მათ მოითხოვეს, რომ შესრულდეს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია იერუსალიმის სტატუსის შესახებ და მოუწოდეს საბჭოს, რომ ხელი შეუშალოს ახლო აღმოსავლეთის ვითარების გაუარესებას.

მეტწილ გამოსვლათა დისონანსი იყო **ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ოსტის** სიტყვა. ისევე როგორც სხვა ორატორებმა, მანაც თქვა, რომ „შეძრწუნებულია“ მეჩეთისათვის ცეცხლის წაკიდების გამო, რომ იზიარებს შეშფოთებას, რომელიც გამოთქმულია არაბული და აზიის ქვეყნების ჯგუფის წერილში, რომლებმაც მოითხოვეს ამ ინციდენტის განხილვა უშიშროების საბჭოში. ამასთან ერთად, ამერიკის დელეგატმა, რომელმაც მოიმოზეზა „მონაცემების უქონლობა“, შესაძლებლად მიიჩნია ვანდალიზმის ეს აქტი დაეხასიათებინა, როგორც „ერთი უგნური ადამიანის“ ნამოქმედარი, ინციდენტი რომლის განხილვა საჭირო არ არის როგორც ტელ-ავივის ხელისუფალთა პოლიტიკის შემადგენელი ნაწილისო.

უ ტანის განცხადება

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა კვლავ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე შეწყდეს ომი ვიეტნამში. გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე კორესპონდენტთა შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს მან განაცხადა, რომ ვიეტნამელ ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თვითონ გადაჭრას თავისი საქმეები გარედან ჩაურევლად.

უ ტანმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობის დროს განაახლონ ოთხმხრივი მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის საკითხზე.

ზეიმი ბელგიაში

ბრიუსელი, 16 სექტემბერი. (საკდესი). მთელ ბელგიაში ზეიმობენ ფაშისტური ოკუპაციისაგან ქვეყნისა და მისი სხვადასხვა ქალაქის განთავისუფლების 25 წლისთავს. ზეიმი გაიმართა ბრიუსელში.

□

საფრანგეთის დღეები საქართველოში

ფრანგულ კულტურას სახელოვანი ტრადიციები აქვს. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ფრანგ ხალხს და მის მდიდარ კულტურას. ჩვენს ქვეყანაში მრავლად იბეჭდება ფრანგ მწერალთა თხზულებანი, რომელთა შესახებ იწერება და ჟღერდება მეცნიერული ხასიათის შრომები.

ფრანგი ხალხის დაინტერესება საქართველოთი, ქართველი ხალხით, ქართული კულტურითა და ლიტერატურით დაახლოებით მეცამეტე საუკუნიდან იწყება. შემდეგ კი ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა, რასაც მოჰყვა მთელი რიგი კათოლიკური მისიების, პოლიტიკური მოღვაწეების, სავაჭრო ექსპედიციების, მოგზაურების, სამხედრო და სხვადასხვა პროფესიის პირთა ხშირი სვლა საქართველოში.

საფრანგეთი გაკვირვება საქართველოს „აღმოჩენამ“. ფრანგი სწავლულებისათვის საქართველო გახდა მუდმივი ყურადღების, დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტი. საქართველოში მოგზაურობიდან შინ დაბრუნებული ფრანგები გატაცებით მოუთხრობდნენ თანამემამულეებს საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართული კულტურისა და ლიტერატურის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია ჟან-ბატისტ ტავერნიეს და ჟან შარდენის მოგზაურობა საქართველოში, მათი წიგნები საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ.

ქართულ თემაზე საფრანგეთში ბევრი ნაწარმოებია გამოქვეყნებული. მათგან აღსანიშნავი კლოდ-პროსპერ ჟოლიო დე კრებიიონის ტრაგედია „რადამისტი და ზენობია“ (დაიწერა 1711 წელს და წარმატებით იდგმებოდა ფრანგულ სცენაზე), მარმონ დუ ოშანის ორი წიგნი „რეტიმა, ანუ მშვენიერი ქართველი ქალი“ და „რუსპია, ანუ მშვენიერი ჩერქეზი ქალი“ (წიგნები გამოცემულია პარიზში მეთვრამეტე საუკუნის 30-იან წლებში), კომპოზიტორ ჟაკ ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ქართველი ქალები“ (დაიწერა 1864 წელს).

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ოპერა თამარ მეფეზე. 1890 წელს საფრანგეთში დასადგმელად მოამზადეს შესანიშნავი ოპერა „თამარი“. ლიბრეტო დაწერა ფრანგმა ლიტერატორმა და ოპერების მრავალი ლიბრეტოს ავტორმა ლუი გალემ, მუსიკა—ნიჭიერმა ფრანგმა კომპოზიტორმა ლუი ბურგო-დუკუდრემ. ლიბრეტო შექმნილია ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი ნაწარმოების „თამარის“ საფუძველზე.

საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებს ვსვდებით ფრანგულ ენციკლოპედიაში. უნდა ითქვას, რომ ფრანგულმა ენციკლოპედიამ ხელი შეუწყო სხვადასხვა პროფესიის ფრანგ მოღვაწეთა კიდევ უფრო მეტად დაინტერესებას საქართველოთი.

1784 წელს საქართველოში ჩამოვიდა საფრანგეთის არმიის ოფიცერთა ექსპედიცია. საშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ გამოაქვეყნეს წიგნი „ისტორიული და გეოგრაფიული მეთაურები შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა მდებარე ქვეყნებზე“.

1823 წელს პარიზში გამოვიდა აზიური ენებისა და ლიტერატურის პროფესორის, „საპაჩი საზოგადოების“ საბჭოს წევრის ჟიუს კლაპროთის ორტომიანი შრომა „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“, რომელმაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი უცხოელთა მხრივ ქართული ენისა და ლიტერატურისადმი ინტერესის შემდგომ გაღვივებას.

საგულისხმო ფაქტია, რომ 1816 წელს ჰამბურგში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა წიგნი „წერილები კავკასიასა და საქართველოზე“, რომელშიც გადმოცემულია უცხოელთათვის ახალი ცნობები საქართველოს შესახებ.

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ჟაკ ფრანსუა გამბას მოგზაურობა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში. გამბა საფრანგეთის კონსული იყო საქართველოში, მასთან მსახურობდა პეტრე უმიკაშვილის მამა იოსები და აწვდიდა მთელ რიგ საჭირო მასალებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის დარგებიდან. გამბამ საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი წიგნად გამოსცა 1826 წელს პარიზში.

ფრანგმა მეცნიერმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ გულდასმით დათვალიერა და შეისწავლა საქართველოს ღირსშესანიშნაობები და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებების ექვსი ტომი 1839 წელს.

საყურადღებოა აგრეთვე დე ვილნევის წიგნი „საქართველო“ (1870), კარლა სერენას „ჩემი მოგზაურობა“, ბარონ დე ტიელმანის „კავკასია“ (1880), დუშეს დე როჰანის „კავკასიის ჩადრახდილნი“ და სხვ.

დიდ ინტერესს იწვევენ ალექსანდრე დიუმა-მამას წიგნი „კავკასია“ და ბარონ დე ბაის წიგნები „თბილისი“, „იმერეთში“, „საქართველოში“, „კავკასიონის ქედის სამხრეთით“, „კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით“, „აფხაზეთში“.

ფრანგი ფილოლოგი ჟიულ მურე დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში. მან დაგვიტოვა მთელი რიგი შრომები ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის შესახებ. მისი რედაქტორობით თბილისში ფრანგულ ენაზე გამოდიოდა ჟურნალი „ილუსტრირებული კავკასია“, რომელშიც ბევრი საინტერესო წერილი, ნარკვევი, ცნობა იბეჭდებოდა ქართული კულტურის შესახებ, ქვეყნდებოდა საუკეთესო ქართული მხატვრული ნაწარმოების ფრანგული თარგმანები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ პროზაული თარგმანი.

პირველი ევროპელი მეცნიერი, რომელმაც გადაუდებელ ამოცანად დაისახა შეესწავლა და გამოეკვლია შოთა რუსთაველის ცხოვრება და შემოქმედება, იყო ფრანგი აკადემიკოსი მარი ბროსე.

მარი ბროსემ მე-19 საუკუნის-30-იან წლებში გულმოდგინედ თარგმნა პროზაულად „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე. მან კიდევაც გამოაქვეყნა თარგმანის ცალკეული ადგილები და თავისი სტატეები პოემის შესახებ. ამას მოჰყვა შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ფრანგული თარგმანები: იონა მეუნარგიასი, აპხას ბორნის, ელისაბედ ორბელიანის, გიორგი გვაზავას და ჭალბატონ ანი მარსელპარონის, ბოლოს კი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ფრანგული პოეტური თარგმანი, რომელიც ასე ბრწყინვალედ შეასრულა დოცენტმა სერგი წულაძემ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის უშუალო დახმარებითა და კონსულტაციით.

საქართველოს ხილვით და ქართველი ხალხის გაცნობით დაინტერესებული იყვნენ შატობრიანი, ვიქტორ ჰიუგო, სტენდალი, ბალზაკი, ალექსანდრე დიუმა-მამა, რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი.

ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები არ დარჩენილან ვალში თავიანთ სამშობლოს ფრანგი მეხოტბეების წინაშე. ისინი გულმოდგინედ და სიამოვნებით ადევნებდნენ თვალყურს ფრანგული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებას, ფრანგი ხალხის ცხოვრებას.

თითქმის არ არსებობს ისეთი ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი ფრანგი მწერალი, პოეტი ან საზოგადო მოღვაწე, რომლის ერთი ან რამდენიმე ნაწარმოები არ იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე, ანდა არ დაწერილიყოს რამე მისი პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ.

ჯერ კიდევ ძველ ქართულ დრამატურგიულ მწერლობაში ვხვდებით ფრანგი კლასიცისტების სახელებსა და მათს ბიესებს, აგრეთვე ფრანგი განმანათლებლების მთელ რიგ ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებს.

მონტესკიეს, ვოლტერის, ჟან-ჟაკ

ტრადიცია გრძელდება

ფეხრცლები ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

სო ჟერილი, ნარკვევი, ცნობა იბეჭდებოდა ქართული კულტურის შესახებ, ქვეყნდებოდა საუკეთესო ქართული მხატვრული ნაწარმოების ფრანგული თარგმანები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ პროზაული თარგმანი.

ქართულმა ჟურნალისტიკამ შინ და გარეთ ფასდაუდებელი როლი შეასრულა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან საქართველოს კულტურულ ურთიერთობაში, საიდანაც გამოირჩევა ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობა.

აკაკი წერეთელი ორჯერ იყო საფრანგეთში. მისმა გამოჩენამ პარიზში ფრანგ და ქართველ საზოგადოებრიობაში აღფრთოვანება გამოიწვია. აკაკის ქართული ენაზე დაწერა და გამოაქვეყნა თავისი ფრანგული შთაბეჭდილებანი და ნაწარმოებები საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის შესახებ.

ეგნატე ნინოშვილმა საფრანგეთში დაჰყო რამდენიმე თვე. მძიმე ეკონომიური პირობებისა და ავადმყოფობის გამო მან ვეღარ შეასრულა წადილი—გაცნობოდა საფრანგეთს, ფრანგ ხალხს, ფრანგულ ლიტერატურას, და გულნატკენი დაბრუნდა სამშობლოში.

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი და კოტე მესხები, მეგელე (დათა მიქელაძე), იონა მეუნარგია, კიტა აბაშიძე და სხვები დიდხანს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ საფრანგეთში. მათ ახლო, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ დიდ ფრანგ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. ყველაფერი ეს ნათლად არის ასახული მათს წიგნებში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, კიტა აბაშიძე, ბოსლეველი (ეს-ტატე მეჭედლიძე), ხომლელი (რომანოზ ფანცხავა), ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია, სიმონ ქვარიანი და სხვები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი ფრანგული კულტურით, ლიტერატურით, იკვლევდნენ ფრანგულ ლიტერატურას, წერდნენ ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის საკითხებზე, თარგმნიდნენ ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებს.

ქართველ სამოციანელებს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში. მიუხედავად დუხჭირი პირობებისა, რომელშაც უხდებოდათ მათ ცხოვრება და მოღვაწეობა, ისინი მაინც ოდნენ მათი თანამედროვე მსოფლიო კულტურის დონეზე, ქმნიდნენ საშვილიშვილო საქმეს, შთამომავლობას დაუტოვეს ბევრი საკუთარი და თარგმნილი ლიტერატურა, რომელიც მარად უკვდავი განძია ქართული და ფრანგული კულტურისა.

საქართველოში ხშირად ხდებოდა ხოლმე საფრანგეთის წარმომადგენლებთან შეხვედრა. ერთი ასეთი შეხვედრის დროს, 1884 წელს, მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ ილიას, აკაკის, ივანე მაჩაბლის მეთაურობით ეკონომიური დახმარება გაუწია, საჩუქარი გადასცა თბილისში მყოფ ფრანგთა კოლონიას.

საფრანგეთსა და საქართველოს კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერა და გაფართოვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობა ავიდა ახალ, მაღალ საფეხურზე. ამ კეთილშობილურ საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა გამოჩენილი ფრანგი კომუნისტი მწერლის ანრი ბარბიუსის მოგზაურობამ საქართველოში, მისმა სიტყვებმა, წერილებმა, კერძოდ მისმა საინტერესო წიგნმა „აი რა უყვეს საქართველოს“.

ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი რენე ლაფონი გამოჩენილი ქართველოლოგია. მან ისე კარგად იცის ქართული ენა, რომ ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს აკადემიკოსებს აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავას მიმოწერა მასთან ქართულად აქვთ.

პროფესორ რენე ლაფონს, ამ განთქმულ ფრანგ ბასკოლოგს, ენათმეცნიერების წინაშე დიდი დაკვლევისათვის ჩვენმა უნივერსიტეტმა წელს, მისი დაბადების სამოცდაათი წლისთავზე ქართული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობა მიანიჭა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კრებული გამოცემა 1968 წელს პარიზში დიდი მოვლენა იყო ქართულ-ფრანგულ კულტურულ ურთიერთობაში.

ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები აოცებს ფრანგ ხალხს. მარტო ის რად ღირს, რომ წელს ნიკო ფიროსმანაშვილის ხუთიათეის გამოფენამ მთელი საფრანგეთი მიიზიდა. ფრანგული ჟურნალ-გაზეთები აიესო ამ გამოფენის ქება-დიდებით. გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავდა, ნიკო ფიროსმანაშვილი მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავიაო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ხელოვნების ნიჭიერი წარმომადგენლების შემოქმედებას გარკვეული წვლილი შეაქვს ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის გაშლასა და გაფართოებაში.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის „ქართული მინანქრების“ გამოცემას პარიზში ფრანგულ ენაზე 1963 წელს ფრანგი ხელოვნებათმცოდნეები მოწონებით გამოეხმაურნენ, მაღალი შეფასება მისცეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნაშრომს — უწოდეს მას „ზღაპრული საგანძურები“.

სახელოვანი ქართველი მწერლების კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა ფრანგულმა თარგმანებმა კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოუხვეჭა ქართულ ლიტერატურას საფრანგეთში.

ჩვენი მწერლები, პოეტები, მეცნიერები ღირსეულად აგრძელებენ თავიანთი სახელოვანი წინაპრების მიერ შექმნილ ფრანგული კულტურისადმი გულთბილი დამოკიდებულების ტრადიციას. ქართულად ითარგმნება და დიდი ტირაჟით გამოდის ფრანგ კლასიკოსთა ნაწარმოებები, იწერება საინტერესო წერილები, ნარკვევები, მონოგრაფიები ფრანგული ლიტერატურის შესახებ.

ფრანგული ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლას საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ. ჩვენს დროში ეს საქმე უფრო ვითარდება და ძლიერდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართო მუშაობაა გაჩაღებული ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევა-ძიების დარგში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი აქტიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანსა და გამოცემას, ფრანგული ლიტერატურის უფრო მეტად შესწავლასა და პოპულარიზაციას საქართველოში.

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობა მრავალფეროვანი და მრავალმხრივია, იგი იზრდება და მტკიცდება. ეს მოდამ ცოცხალი ტრადიციებია, მის წინაშე ფართო პერსპექტივებია გადაშლილი.

დავით ფანჩულიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ქართველისტი

მე-8 გვერდი, ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 1969 წ.

სსრ კავშირი—ერაყი

მეგობრული შეთანხმება

ამსკოვი ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერაყის ეროვნული ნავთობმომპოვებელი მრეწველობის განვითარებაში საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ. საბჭოთა სპეციალისტები იმუშავებენ ჩრდილოეთ რუმელიასა და იმ რაიონებში, სადაც ნავთობის საბადოებია.

სურათზე: „პრემიერ-მინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი სალიჰ მეჰდი ამაში და სსრ კავშირის ელჩი ერაყში ვ. ნიკოლაევი მომავალი ნავთობსადენი წის ტერიტორიაზე სხნიან მონუმენტს, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა ხალხისა და ერაყელი ხალხის მეგობრობას.

(საკდესის ფოტო-ქრონიკა).

მთავრობა შეეფოთებულია

პარიზი, 16 სექტემბერი. (საკდესი). ჟ. შაბან-დელმასის მთავრობისადმი ნდობის საკითხი თვით მთავრობის ინიციატივით დაისვა საფრანგეთის ეროვნული კრების წინაშე, და კენჭისყრა ამ საკითხზე გაიმართება პარლამენტის საგანგებო სესიაზე, რომელიც დღეს საღამოს იხსნება.

გარდა იმისა, რომ უნდა მოიწონონ მთავრობის საერთო პოლიტიკა, დეპუტატებმა აგრეთვე უნდა დაამტკიცონ ოთხი კანონპროექტი, რომლებშიც შეკამებულია საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობის „გამოსწორების“ ღონისძიებანი, რომლებიც ხელისუფლებმა შეიმუშავეს ფრანკის დევალვაციის შემდეგ.

ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველების ერთსულოვანი აზრით, მთავრობას არ უნდა ეშინოდეს პარლამენტში გამართული კამათის შედეგებისა: ხელისუფლების სათავეში მყოფ კოალიციას ეროვნულ კრებაში აქვს მყარი ხმის უმრავლესობა.

მთავრობას სხვა რამისა ეშინია. იგი არ ფარავს შეშფოთებას იმის გამო, რომ „მკაცრი მომჭირნეობისა“ და „მოხმარების შემცირების“ კურსის მიღების შემდეგ პარლამენტის კედლებს გარეთ კვლავ გამწვავდა ვითარება.

უკვე ერთი კვირაა გაფიცული არიან რენინგზელები. ახლა კი ბრძოლაში ჩაებნენ სხვა კატეგორიის მშრომელებიც. დღეს ეროთო-ეროვნულ გაფიცვას აწყობენ საფრანგეთის ყველა ნავსადგურის დოკერები, რომლებიც მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას. პარიზის რაიონის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა მოუწოდა თავის წევრებს „იქედანვე წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის გადაწყვეტილებებს“. ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაკთა ფედერაციამ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აცხადებს, რომ 29 სექტემბრიდან მოეწყობა ბრძოლის კვირეული.

პრესის ცნობებით, გუშინ საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა ხელოსნებისა და ვაჭრების მიტინგები და დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი აგრეთვე აცხადებენ პროტესტს მთავრობის სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ლიონში დემონსტრანტები წაადგენენ პოლიციის რაზმებს.

შეტაკებათა შედეგად რამდენიმე კაცი დაიჭრა.

„ექვსეულის“ მინისტრთა თათბირი

ბრიუსელი, 15 სექტემბერი. (საკდესი). **დღეს აქ გაიხსნა ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.** სესია განიხილავს საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს. დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია საფრანგეთის წინადადება მომდინარე წლის ნოემბერში მოიწვიონ „საერთო ბაზრის“ შემავალ სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურების თათბირი. სწორედ ამ თათბირზე უნდა განიხილონ „საერთო ბაზრის“ ინგლისისა და სხვა ქვეყნების მიღების საკითხი.

ახლანდელი სესია კვლავ განიხილავს „ექვსეულის“ ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის პრობლემებს, კერძოდ, მესამე ქვეყნებთან სავაჭრო შეთანხმებათა დადების საკითხს.

დღესვე გაიხსნა „საერთო ბაზრის“ მინისტრების საბჭოს სესია სოფლის მეურნეობის მინისტრთა დონეზე. სესია, კერძოდ, განიხილავს რძის „პროდუქტებისა და ძროხის ხორცის ერთიანი ფასების საკითხს, რაზეც „ექვსეულის“ ქვეყნები ჯერ უკვე რამდენი ხანია ვერაფრით ვერ შეთანხმებულან.

კატრიოტთა დარტყმები

ბანი, 16 სექტემბერი. (საკდესი). **განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების რაზმები კვლავ აყენებენ დარტყმებს ამერიკის ბაზებსა და კომუნიკაციებს.** 6 სექტემბერს ღამით პატრიოტები ჩაუსაფრდნენ ამერიკის მოტორიზებულ ქვეგანაყოფებს თხუზამბინისა და ვინლონგის პროვინციების ავტოსტრადებზე. ამ ოპერაციების შედეგად პატრიოტებმა მოწინააღმდეგეს დაუხოცეს და დაუჭრეს ასობით ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოიყვანეს რამდენიმე ქვემეხი, 27 ტანკი და ასამდე ჯავშანტრანსპორტიორი.

ექსპერიმენტული „ზეგგერითი მატარებელი“

ტოკიო, 16 სექტემბერი. (საკდესი). „მეიძის“ უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის მეცნიერებმა გუშინ მოაწყვეს ექსპერიმენტული „ზეგგერითი მატარებლის“ გამოცდა, რომელმაც 1.600 მეტრ მონაკვეთზე განავითარა საათში 2.535 კილომეტრი. „მატარებელი“ გლუვი ლითონის ცილინდრს წარმოადგენს, რომლის სიგრძეა 110 სანტიმეტრი და დიამეტრი 8 სანტიმეტრი. ექსპერიმენტის მიზანია იპოვონ ტექნიკური შესაძლებლობა მატარებლის შესაქმნელად, რომელიც იმოძრავებდა ბგერის სიჩქარეზე ერთიორად მეტი სიჩქარით და ტოკიოსა და ოსაკას შორის მანძილს (515 კილომეტრი) დაფარავდა 12 წუთში.

კამათი კონგრესში

ვაშინგტონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). კონგრესში გრძელდება ცხარე კამათი იმ კანონპროექტის გამო, რომელიც ითვალისწინებს პენტაგონისათვის 20 მილიარდი დოლარის გამოყოფას შეიარაღების ახალი სისტემების შემუშავებისათვის, და უწინარეს ყოვლისა, სამხედრო-საჰაერო ძალების მოღერნიზაციისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯების შემდგომი გადიდების გეგმები სერიოზულ ოპოზიციას წაეყრდა სენატში.

ჩრდილოეთ ირლანდია

ამფაადებენ ახალ შეტევას

ლონდონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიაში ამზადებენ ახალ შეტევას მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ. გუშინ ლონდონში ჩამოვიდნენ ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი საოკუპაციო ძალების სარდალი. გენერალი ფრილენდი და ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ-მინისტრის სპეციალური მრჩეველი რაიტი, რომლებიც შეხვდებიან ინგლისის პრემიერ-მინისტრს ვილსონს, შინაგან საქმეთა მინისტრს კალაგანს, თავდაცვის მინისტრს ჩილისა და ინგლისის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბის უფროსს გენერალ ბეი

პირველი ნაცნობობა...

ფრანგ ბავშვთა ნახატების გამოფენა

□

გუშინ 16 სექტემბერს საქართველოში დაიწყო საფრანგეთის დღეები. ნიშანდობლივია, რომ იგი დაიწყო ფრანგ ბავშვთა ნახატების გაცნობით. თბილისელებმა, რომლებიც ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეიკრიბნენ, თითქოს „იმოგზაურეს“ საფრანგეთში.

ვერნისაჟზე მოვიდნენ „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის პრეზიდენტთა საბჭოს წევრი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ლერუა (დელეგაციის მეთაური), „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ეროს დეპარტამენტის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, ეროს დეპარტამენტის გენერალური მრჩეველი შ. ალიევი და ბაიონის ბასკთა მუზეუმის (ქვემო პირენეა) დირექტორი შ. ბარიჩელარი. ფრანგ სტუმრებთან ერთად იყვნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ა. ძღენტი და გ. ტაბიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი შ. ყარაყარაშვილი, რესპუბლიკის განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, გამოფენის გახსნაზე შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, თბილისელი პიონერები და მოსწავლეები.

დარბაზში, სადაც განლაგებულია ეროს დეპარტამენტის ბავშვთა ნამუშევრები, ეკსპონირებულია ასამდე ნახატი. ფრანგი ბავშვები ხატავენ მხედრებს, მხიარულ კაცუნებს, რომლებიც მათ ასე უყვართ, ფრინველებს, უჩვეულო ცხოველებს — ეროი სიტყვით ბავშვთა ფანტაზიისა და შთაბეჭდილებების სამყაროს.

— დღეს ქართველი მოსწავლეები ეცნობიან ფრანგი ბავშვების ნამუშევრებს, — თქვა გამოფენის გახსნისას საქართველოს სახალხო მხატვარმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა ლ. გუდიაშვილმა, — და შეიტყობენ თუ რით სუნთქავენ, რით არიან დაინტერესებული შორეულ ქვეყანაში მათი თანატოლები. ნორჩ ფერმწერთა ნამუშევრები გვიზიდავს გულწრფელობით, უშუალობით, ფერისა და კომპოზიციის კარგი გრძნობით. დაე ამ გამოფენამ ხელი შეუწყოს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ბავშვთა მეგობრობის განმტკიცებას.

გამოფენის გახსნაზე გამოვიდა რესპუბლიკის მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი შ. მეძმარიაშვილი: — ეს გამოფენა საინტერესო მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. დარწმუნებული ვართ, რომ ფრანგი ბავშვების ნახატები ქალაქის საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს, გამოიწვევს.

— არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ სწორედ ბავშვები ხსნიან საქართველოში საფრანგეთის დღეებს, — თქვა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარმა რედაქტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ეგაძემ. ეს კარგი ტრადიციაა. მოზარდი გულწრფელად, უშუალოდ აღიქვამს გარე სამყაროს, აღიქვამს ისე, როგორც მისი ფაქიზი სული უკარნახებს. დღევანდელი გამოფენა ახალი ძალით გვიღვიძებს მისწრაფებას გავაერთიანოთ ღონისძიებანი, რათა მთელი მსოფლიოს ბავშვებმა ბედნიერად იცხოვრონ.

გულთბილი მიღებისათვის შეკრებილთ „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა რ. ლერუამ. ბედნიერი ვართ, —თქვა მან, — რომ ვესწრებით საქართველოში საფრანგეთის დღეების გახსნას. ძალიან სახიამოვნოა, რომ ეს დიდი ღონისძიება ბავშვებმა დაიწყეს. პირველ რიგში სახიამოვნოა იმიტომაც, რომ სწორედ ბავშვებს ეკუთვნის ჩვენი მომავალი, მთელი მსოფლიოს მომავალი.

რ. ლერუამ იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთის დღეები ხელს შეუწყობს ფრანგი და საბჭოთა ხალხების საუკეთესო ურთიერთგაგებას.

რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა გადაჭრა წითელი ლენტი. შეკრებილნი ათვალიერებენ გამოფენის ექსპონატებს, რომლებიც საყოველთაო აღტაცებას იწვევენ. (საქდესი).

სურათზე: რ. ლერუა თბილისელ პიონერებთან ერთად პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

ფოტო ბ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჭიათურა დღეს

მარგანეცის ქალაქი. ეს საავტომობილო გზა „ახალი ითხვისის“ მაღაროს ზეგანისაკენ მიმართება. მაღლა ჩანს სამგზავრო-საბაგირო გზა, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს „ახალ ითხვისთან“ აკავშირებს. ასეთ მშვენიერ პანორამას მარგანეცის ქალაქში ახლა ხშირად შეხვდებით. აქაური საბაგირო და საავტომობილო გზები მეტად ორიგინალურად ერწყმიან ქალაქის მთაგორიან პეიზაჟს.

ფოტო ა. მაჰამარიანისა.

კურორტოლოგთა საერთაშორისო ფორუმი

გუშინ, 16 სექტემბერს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში მუშაობას შეუდგა ევროპის სოციალისტური ქვეყნების კურორტოლოგიის, ბალნეოფიზიკოლოგიისა და ფიზიკური თერაპიის ინსტიტუტების მორიგი მე-6 საკოორდინაციო თათბირი. კურორტოლოგთა ამ საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობას იღებენ ევროპის ყველა სოციალისტური ქვეყნის „გამოჩენილი კურორტოლოგი მეცნიერები და საკვლევი ინსტიტუტების დირექტორები.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ი. დანილოვმა, მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ს. ციმაიამ, პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. წითლანაძე.

პროფესორ ი. დანილოვის მოხსენების შემდეგ, რომელმაც შეაჯამა 1967-1969 წლებში კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და ბალნეოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები, თანამოხსენებებით გამოვიდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან პროფესორი დინოვი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან პროფესორი ვადში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან პროფესორი ირონდინი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკიდან დოქტორი შელეგი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან პროფესორი მაეზკი და სხვ.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს **ვლ. ნოთლანაძეს** მოეთხრო თათბირის მუშაობის შესახებ, რა პრობლემებს ეძღვნება მეცნიერთა ეს დიდი ფორუმი და როგორია თათბირის მუშაობის პროგრამა.

— ევროპის სოციალისტური ქვეყნების კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტებს საკოორდინაციო თათბირი ორ წელიწადში ერთხელ იმართება — აღნიშნა მან, — 1967 წელს ეს თათბირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შედგა და იქვე გადაწყდა, რომ მორიგი თათბირი თბილისში გამართულიყო.

საქართველოს რესპუბლიკა შემთხვევით არ აირჩევათ თათბირის ადგილად. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა ითვლება მსოფლიოში აღიარებულ საკურორტო მხარედ. ამავე დროს საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა საკურორტო საქმის ორგანიზაციასა და კვლევითს მუშაობას. სწორედ ამან განაპირობა ევროპის კურორტოლოგთა საერთაშორისო ფორუმის მოწყობა თბილისში.

დღევანდელ სხდომაზე ძირითადად მოსმენილ იქნება ბულგარეთის რესპუბლიკის ბიოკლიმატური და ბალნეოლოგიური დარაიონების ახალი პრინციპების საკითხი, აგრეთვე გარხეულო იქნება გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობა კლიმატური ფაქტორებით, სახსრების დაავადებათა მკურნალობა ბალნეოლოგიური და ფიზიოთერაპიული ფაქტორებით და სხვ.

ამ თემაზე სოციალისტური ქვეყნების წამყვან მეცნიერებთან ერთად საქართველოდან მოხსენებები გამოვლენ პროფესორი შ. ფარცხანაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ბ. კობახიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ტყემალაძე. მათი მოხსენების თემაა „ულტრაბგერის გამოყენება საყრდენ-საძოძრაო აპარატის და საქმლის მომნელებელი ორგანოების მკურნალობაში“. ამ მოხსენების თანაავტორი მეც ვარ. „ზეგისა და მთის კლიმატის გამოყენება გულსისხლძარღვთაავადებულ ადამიანთა მკურნალობაში“ — ამ საკითხზე მოხსენებას წაიკითხავენ პროფესორი გ. წითლანაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მგელაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. უშვერიძე.

საქართველოში საკურორტო მეცნიერებისა და პრაქტიკის უკით გაცნობისათვის სტუმრები 18 სექტემბრიდან გაემგზავრებიან შემდეგი მარშრუტით: ბორჯომი-წყალტუბო - სოხუმი-გაგრა-რიწა-ბიჭვინთა. თათბირის მონაწილენი გაეცნობიან საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოსა და სოხუმის ფილიალების მუშაობას და ჩვენს კურორტებზე საკურორტო საქმის ორგანიზაციას. დათვალიერებასთან ერთად გათვალისწინებულია წყალტუბოსა და სოხუმის ფილიალებში გაგრძელდეს აზრთა ურთიერთგაზიარება მოსმენილი მოხსენებებისა. და გაწეული მუშაობის იერგელვ.

21 სექტემბერს თათბირი მუშაობას ამთავრებს.

ექვსივე ფინალისტი

დამთავრდა ფრენბურთში მშვიდობის თასის გათამაშების წინასწარი შეხვედრები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს — 3:0 და ფინალში გავიდა (მათ ერთი ქულა უკვე აღებული ჰქონდათ ბულგარელებთან). ამ ჯგუფიდან ფინალში მოხვდნენ აგრეთვე ბულგარელებიც. საბოლოოდ გამოირკვა დანარჩენი ოთხი ფინალისტიც ესენი არიან ბრაზილიის, იაპონიის, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. დასკვნითი ასპარეზობა დღეს დაიწყება ბერლინში.

□

ვერტერზეეს ტბაზე

ამსტრიის ქალაქ კლაგენფურტის მახლობლად ვერტერზეეს ტბაზე დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

ვაჟთა ასპარეზობაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიჩბოსნები, მათ ასპარეზობის შვიდ სახეობაში მოიპოვეს ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი, ორი ოქროს მედალი აქვთ ამერიკელ სპორტსმენებს, თითო — საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ვენგრიისა და არგენტინის ნიჩბოსნებს.

ევროპის ჩემპიონები გახდნენ ბ. ლეშინი, ა. ფედოროვი, ბ. ვესელოვი და მ. ჩიკინი (ოთხიანი უმმსაჭეოდ), ვერცხლის პრიზიორი გახდა საბჭოთა რვიანის ეკიპაჟი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ

15 სმძტემბერს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დამთავრდა ცხენების მეხუთე მოსკოვის საერთაშორისო აუქციონი. სპეციალისტთა აზრით, იგი წარმატებით დამთავრდა მის მომწყობთათვის — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სრულიად საკავშირო საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „პროდინტორგისათვის“. გაიყიდა ყველა ახალგაზრდა ჩორთითმავალი ცხენი, რომლებიც აუქციონზე იყო წარმოდგენილი.

რვაჯერ და ათჯერ იწყებდნენ ვაჭრობას კომერსანტები საუკეთესო ცხენებისათვის. ჩორთითმავალი ცხენის საშუალო ფასი გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე მოსკოვის წინა აუქციონებზე. არც ერთი ცხენის ფასი ათას დოლარზე ნაკლები არ ყოფილა. ხოლო ბევრ ჩვენებურ ცხენში 1.800-2.000 დოლარიც კი აიღეს.

ორლოვური და რუსული ჩორთითმავალი ცხენები, აგრეთვე რამდენიმე ხალასჯიშიანი ცხენი იყიდეს ცხენთმოშენებლებმა და ცხენოსნობის მოყვარულებმა დანიიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ფინეთიდან. საბჭოთა ცხენების ყიდვა სურთ უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს.

(საქდესის კორ.).

ᲣᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

„დინამო“ (თბილისი) — „ნეფტჩი“ (ბაკო) 1:1 (0:0). თბილისი, 16 სექტემბერი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — ჰ. კაზაკოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რუხიაშვილი, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, კუტივაძე, გ. ნოდია, ლ. ნოდია, „ნეფტჩი“ — კრამარენკო, ყულიევი, ბრუტი, ი. ბაბაევი, ტროფიმოვი, მირზოიანი, ზეინალოვი, შევჩენკო, რახმანოვი (აბდულაევი), სმოლნიკოვი (ეინულაევი), სტეკოლნიკოვი.

კარბა ხნის შესვენების შემდეგ „დინამო“ წარსდგა თბილისელი მაყურებლების წინაშე, მაგრამ ვერაფრით გაახარა ისინი.

პირველ ნახევარში ერთგვარი უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ თავდასხმელებს სათანადოდ როდი ეხმარებოდნენ ნახევარმცველები. ამასთან ,კარგად ითამაშა „ნეფტჩის“ მეკარე კრამარენკომ.

მეორე ტაიმში ბრძოლა შედარებით გამოცოცხლდა. 55-ე წუთზე საჯარიმო მოედანზე გ. ნოდია წაიკვეთს და 11-მეტრიანი საჯარიმო ილიადიმ უნაკლოდ გამოიყენა — 1:0. თბილისელებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ჯერ გ. ნოდიამ ვერ გამოიყენა ილიადის კარგი გადაცემა, შემდეგ კუტივაძის ძლიერი დარტყმა მოიგერია... ძელმა, გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და ლ. ნოდიამ კიდევ ერთი ჩინებული შესაძლებლობა დაკარგა.

გაკარჯეულნი

პავანა, 16 სექტემბერი. (საქდესი). კაპაბლანკას უსაბაოკო მემორიალის უკანასკნელ მეთხუთმეტე ტურში კუბელი ოსტატის სილვიროს გარსიას დამარცხების შემდეგ ვ. კორჩნოი დაეწია ა. სუეტინს, რომელმაც თავისი უკანასკნელი პარტია ყაიმით დაამთავრა.

საბჭოთა გროსმაისტერებმა შეაგროვეს 11-11 ქულა და გაიმარჯვეს ამ უდიდეს საერთაშორისო ტურნირში. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩა მესამე ადგილზე გამოსული იუგოსლაველი ს. გლიგორინი.

ᲥᲕᲚᲐᲕ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲔᲑᲖᲔ

ლიუბლინი, 16 სექტემბერი. (საქდესი). საბჭოთა გუნდმა ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ათ შესაძლებელში 9,5 ქულა შეაგროვა. ეს ცხობილი გახდა მას შემდეგ, რაც ლატვიელებმა (პოლონეთი) მეხუთე ტურის პარტია წაგო სსრ კავშირის ჩემპიონ ნანა ალექსანდრიასთან. ამრიგად, სსრ კავშირ-პოლონეთის მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1,5:0,5. ჩვენმა მოჭადრაკეებმა ყველაზე ნაკლები ქულა დაკარგეს და ამ მიჩვენებლებითაც პირველ ადგილზე არიან.

ᲓᲦᲔᲡ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ

დღეს ვენის „პრატერ-შტადიონზე“ გაიმართება მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ავსტრიის ჩემპიონი ვენის „აუსტრია“ შეიღებს კიევის „დინამოს“. მრავალი ქვეყნის ფეხბურთის გულშემატკივრები ადევნებენ მას თვალს „ინტერვიზიით“ (მატჩი დაიწყება 22 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით).

ვენის „აუსტრია“, რომელსაც სათავეში უდგას წარსულში განთქმული ფეხბურთელი ერნსტ ოცვირკი, „კარგი“ საერთაშორისო რეპუტაციის გუნდია. უკანასკნელ წლებში იგი საკმაოდ გაახალგაზრდავდა. ოცვირკმა „აქცენტი აიღო“ შემტევ ფეხბურთზე. მან დააწინაურა ახალი ცენტრალური თავდასხმელი ჰელმუტ კეგლბერგერი, რომელიც იშვიათი შედეგიანობით გამოირჩევა. მისი ცნობა ტელეეკრანზე ძალიან ადვილია — კეგლბერგერი მულატია.

კიეველთა მწვრთნელმა ვ. მასლოვმა ვენაში ჩაიყვანა 18 ფეხბურთელი, მათ შორის ა. ბიშოვეცი, რომელიც ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელდა და ერთ საკონტროლო მატჩშიც ითამაშა.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა კიდევ ერთი მატჩი „ა“ კლასის I ჯგუფის იმ გუნდებისათვის, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატში I-XIV ადგილებისათვის იბრძვიან. ერთმანეთს ხვდებოდნენ მოსკოველი გუნდები „დინამო“ და „ტორპედო“. პირველი ბურთი, მოთამაღლა, ტორპედოელმა ვ. ვორონინმა გაიტანა, მაგრამ შემდეგ დინამოელებმა არა თუ გაქვითეს ანგარიში, მოიგეს კიდეც შეხვედრა — 4:2. ორ-ორი ბურთის ავტორები არიან ავრუცკი და კოზლოვი, ტორპედოელთა მეორე საპასუხო ბურთისა — ლენოვი.

გაიმართა ბოლო „ექვსეულის“ ორი მატჩიც: „კრილია სოვეტოვი“-„ურალმაში“ — 2:2 და „კაირატი“-„ლოკომოტივი“ — 0:0.

ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

8 ტურის შემდეგ

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი ვაჟთა შორის ბუმბერაზად მარათონული ტურნირია — 23 ტური უნდა გათამაშდეს.

მეშვიდე ტურში მ. ტალმა „საგანგებო ზომები“ მიიღო მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამან კიდევაც მოიტანა ვარკვეული შედეგი, თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ მ. ტალმა მოუგო რ. ხოლმოვს, რომელიც, როგორც იტყვიან, „ათასში ერთხელ“ აგებს. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო ოსტატ ვ. სავონის თამაში. სპეციალისტთა აზრით, სავონი გროსმაისტერის წოდების № 1 პრეტენდენტია. შარშან სკოპლეს საერთაშორისო ტურნირში სავონს ერთი ქულა დაკაღდა გროსმაისტერობამდე, ახლა კი ცდილობს ხელიდან არ გაუშვას შემთხვევა. მეშვიდე ტურში მან ჩინებულად სძლია ჭროსმაისტერ ს. ფურმანს და ისიც შავებით. გავიხსენოთ მ. ბოტვინიკის სიტყვები: „ს. ფურმანი რომ ყველა პარტიას თეორიებით თამაშობდეს, აუცილებლად მსოფლიო ჩემპიონი იქნებაო“. ვ. სავონმა კი სწორედ შავებით გაიმარჯვა, რაც მის დიდ ძალაზე მეტყველებს. ყაიმზე შეთანხმდნენ ტ. პეტროსიანი-ი. ბლატნოვი (მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა „შეისვენა“ ნინა მძაფრი პარტიების შემდეგ), ა. გიპსლისვ. სმისლოვი, ვ. ლიბერზონი. ავერკინი და ლ. შტეინვ. სავონი.

გუშინ მერვე ტურში სავონმა მოუგო ტალს, ტაიმანოვმა — ა. ზაიცევს, ლუტიკოვმა — ფურმანს. შვიდი პარტია ყაიმით დამთავრდა. მათ შორის ცენტრალური შეხვედრა ე. გელერსა და ტ. პეტროსიანს შორის. ერთი პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ 5,5 ქულით წინ არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და საერთაშორისო ოსტატი ვ. სავონი.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 17 სექტემბრისათვის

I-XIV ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	18	14	3	1	30—6	31
„დინამო“ (კ.)	17	11	5	1	21—6	27
„ტორპედო“ (მ.)	20	8	8	4	21—14	24
„დინამო“ (თბ.)	18	8	7	3	22—12	23
ცსკა	17	9	5	3	16—7	23
„დინამო“ (მ.)	20	8	6	6	31—21	22
„შახტიორი“	18	4	7	7	10—20	15
„ნეფტჩი“	19	3	9	7	15—22	15
„ჩერნომორ.“	19	5	5	9	11—18	15
სკა	18	6	3	9	17—26	15
„ზარია“	19	3	7	9	15—23	13
„ზენიტი“	17	4	5	8	13—22	13
„დინამო“ (მნ.)	19	2	7	10	10—21	11
„ტორპედო“ (კ.)	20	4	3	13	14—34	11

XV-XX ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი“	27	11	8	8	38—32	30
„შახტაკორი“	26	10	6	10	26—29	26
„კაირატი“	27	7	9	11	23—29	23
„კრ. სოვეტ“.	28	7	7	14	32—39	21
„ურალმაში“	27	6	8	13	15—28	20
„ლოკომოტივი“	27	3	9	15	18—39	15

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲕᲔᲑᲘ

გადაარჩინა...

მოსკოვი. (საქდესის კორ.). სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა თ. ვ. ობუხოვმა დღეს სამახსოვრო საათი გადასცა სპორტის ოსტატს ვიაჩესლავ ფედოსო